ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1655652

ნომერი: AR1270915

თარიღი : 17.12.2014

გაცემის თარიღი : 22.12.2014

გაცნობის თარიღი : 24.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიშა ფუტკარაძე პ/ნ 17001002452
- ვანი ს. სალხინო

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

დროებითი სტატუსის მსუბუქი კონსტრუქციის შენობა–ნაგებობის (სამრეცხაოს) მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ლუბლიანას ქუჩა #15, შ.პ.ს. "ზარაფხანა დეველოპმენტი"–ს (მოიჯარე – მოქ. მიშა ფუტკარაძე) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.02.005.009), დროებითი სტატუსის მსუბუქი კონსტრუქციის შენობა–ნაგებობის (სამრეცხაოს) მშენებლობას, პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014050488 03/02/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.13.02.005.009; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ლუბლიანას ქუჩა #15, შ.პ.ს. "ზარაფხანა დეველოპმენტი"–ს (მოიჯარე – მოქ. მიშა ფუტკარაძე) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.02.005.009), დროებითი სტატუსის მსუბუქი კონსტრუქციის შენობა–ნაგებობის (სამრეცხაოს) მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

გაითვალისწინეთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეთანხმების შედეგად ხელი არ უნდა შეეშალოს განაშენიანების რეგულირების პროექტის დამუშავებას და პირველივე მოთხოვნისთანავე შენობა–ნაგებობა თქვენივე ხარჯებით უნდა დაექვემდებაროს დემონტაჟს.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge